**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**
**ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**განკარგულება**

ქ. ჭიათურა

N 52 38
04/09/2020

38-52-4-202009041853

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის~ 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების საფუძველზე

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1**
დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების თანდართული ნუსხა (დანართი №1).

**მუხლი 2**
საარჩევნო ღონისძიებების ჩატარებისას ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით დაცული უნდა იყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

**მუხლი 3**
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წლის 19 მაისის არჩევნებისთვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 აპრილის №52 21 განკარგულება.

**მუხლი 4**
განკარგულება გადაეგზავნოს №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 5**

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 6**

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ციცქიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია
ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 04 სექტემბრის
№52-38 განკარგულებით

**დანართი №1**

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობები**

| № | შენობის დასახელება | ადგილმდებარეობა |
|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო თეატრი | ქ. ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ.№15 |
| 2 | კულტურის ცენტრი | ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ.№7 |
| 3 | ნაგუთის კულტურულ-სპორტული კომპლექსი | ქ. ჭიათურა, წმინდა გერმანეს ქ.№19 |
| 4 | ჭიათურის ცენტრალური ბიბლიოთეკის №5 განყოფილება | ქ. ჭიათურა, გოგებაშვილის ქ.№31 |
| 5 | გადახურული სტადიონის შენობა | ქ. ჭიათურა, იაშვილის ქუჩა |
| 6 | სარიტუალო დარბაზის შენობა | სოფელი კაცხი |
| 7 | სასოფლო კლუბი | სოფელი ქვაციხე |
| 8 | ბიბლიოთეკის შენობა | სოფელი ვაჭევი |
| 9 | ადმინისტრაციული შენობის დარბაზი | სოფელი ხრეითი |
| 10 | საბავშვო ბაღის შენობა | სოფელი რგანი |
| 11 | ადმინისტრაციული შენობის დარბაზი | სოფელი სარქველეთუბანი |
| 12 | კულტურის სახლი | სოფელი თაბაგრები |
| 13 | ბაღის შენობა | სოფელი წირქვალი |
| 14 | სარიტუალო დარბაზი | სოფელი ხვაშითი |
| 15 | კულტურის სახლი | სოფელი ზოდი |
| 16 | კულტურის სახლი | სოფელი ითხვისი |
| 17 | კულტურის სახლი | სოფელი პერევისა |
| 18 | სარიტუალო დარბაზის შენობა | სოფელი შუქრუთი |
| 19 | სარიტუალო დარბაზის შენობა | სოფელი ნიგოზეთი |
| 20 | ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა | სოფელი ქვედა ბერეთისა |
| 21 | კულტურის სახლი | სოფელი მანდაეთი |

| | | |
|---|---|---|
| 22 | ბაღის შენობა | სოფელი სვერი |
| 23 | ადმინისტრაციული შენობის დარბაზი | სოფელი გეზრული |